H-F-H
History-Film-History

პირველი კინოსეანსი 1895 წლის 28 დეკემბერს პარიზში, კაპუცინების ბულვარზე, შედგა და სამყაროს ახალი ხელოვნების დაბადება ამცნო. ლუი და ოგიუსტ ლუმიერების კინოაპარატმა სახელწოდებით „სინემატოგრაფი“, რომელიც კინოპროექტორსა და გადამღებ მოწყობილობას აერთიანებდა დოკუმენტურად ასახა ის რეალობა, რაც ძმებისთვის ნაცნობი და მშობლიური იყო. 1902 წლიდან ლუმიერებისგან განსხვავებით ფრანგი რეჟისორი ჟორჟ მელიესი, კინოში ჯადოსნურ სამყაროს აცოცხლებს, მიმართავს სპეცეფექტებს და ილუზიონისტურ ექსპერიმენტებსაც არ ერიდება. 1903-1905 წლებში ამერიკელმა რეჟისორმა ედვინ პორტერმა კარგად გამოიყენა ევროპელების მიგნებები, კინოქრონიკებთან ერთად პოპულარული იყო მისი სათავგადასავლო და კომედიური ხასიათის ფილმები, სწორედ ამ პერიოდში იბადება გასართობი კინოინდუსტრია ამერიკაში.

,,კინოს დაბადებიდან“ მალევე 1896 წლის 16 ნოემბერს თბილისში პირველი კინოსეანსი შედგა. 1900-იანი წლების პირველი ათწლეულის დასაწყისში საქართველოში ფოტოგრაფმა დავით დიღმელაშვილმა, იგივე დიღმელოვმა ვაჟთან ალექსანდრესთან ერთად მოსკოვიდან თბილისში ჩამოიტანა „ლატერნა მაგიკა“, და ამ აპარატის საშუალებით აწყობდა ჩვენებებს. „ლატერნა მაგიკა“ რაც „ჯადოსნურ ლამპარს“ ნიშნავს პროექტორი იყო, რომელიც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გამოიგონეს და ის სლაიდების, ფერადი სურათების ჩვენების საშუალებას იძლეოდა. მალე დიღმელოვებმა შეიძინეს, სინემატოგრაფი- ლუმიერების სისტემის საპროექციო აპარატი. ოპერატორი ალექსანდრე დიღმელოვი ჯონ მორისის ფსევდონიმით საქართველოს რეგიონებში მოგზაურობდა და პირველ კინოჩვენებებს აწყობდა. საბჭოთა რეჟისორი ივანე პერესტიანი საკუთარ მოგონებებში წერს: "ოპერატორი ალექსანდრე დიღმელოვი კინოთეატრ „აპოლოს“ ეკრანის უკანა მხარეს სახელდახელოდ მოწყობილ პატარა, სათამაშოს მსგავს ლაბორატორიაში ახერხებდა ფირი გაეჟღავნებინა, დაებეჭდა, გაეშრო და დაემონტაჟებინა“. გადმოცემით, დიღმელოვმა ბევრი კინოქრონიკა და დოკუმენტური ჩანახატი შექმნა, რომელიც სამწუხაროდ შემორჩენილი არ არის.

1904 წლიდან თბილისში გოლოვინის, დღევანდელ რუსთაველის გამზირზე პირველი კინოთეატრი-,,ილუზიონი“ იხსნება, 1907 წლიდან საქართველოში კინოთეატრების მშენებლობა დაიწყო, თბილისს გარდა ამ პეიროდიდან უკვე ფილმებს აჩვენებენ ქუთაისში და ბათუმშიც, გაიხსნა “აპოლო”, “ლირა”, “რადიუმი”,. ამ დროს საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრანგული კინოკომპანიების ფილიალები. 1908 წლიდან საქართველოში ფილმების გადაღება იწყება, მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი წერს სცენარს ფილმისთვის ,,ბერიკაობა-ყეენობა“, ალექსანდრე წუწუნავას ავტორობით შექმნილი ეს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, დღეს შემონახული არ არის.

1900-იან წლებში ალექსანდრე დიღმელოვთან ერთად ასპარეზზე გამოდის პირველი ქართველი კინოოპერატორი - ვასილ ამაშუკელი. მან განათლება მოსკოვში მიიღო , ის თავიდან კინომექანიკოსად მუშაობდა და კინოს გადაღების სპეციფიკა ფრანგული კინოკომპანია „გომონის“ რუსულ ფილიალში აითვისა. 1909 წელს ვასილ ამაშუკელი ბაქოსა და ქუთაისში იღებს დოკუმენტური სტილის ჩანახატებს (“კასპიის“ სტამბის მუშაობა“, „სეირნობა ზღვის ნაპირზე“, მუშაობა ნავთის ჭაბურღილებთან“ „გვირილობა“ „ექსკურსია ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“) 1910 წლიდან ის ქუთაისში, კინოთეატრ „რადიუმში“ კინომექანიკოსად მუშაობს.

ვასილ ამაშკელი, 1912 წელს იღებს პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ სურათს „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა ლეჩხუმში“. ფილმში ასახულია ქართველი მწერლისა და პოეტის მოგზაურობა 21 ივლისიდან 2 აგვისტომდე საქართველოს მთიან მხარეში. ამ ფილმით იწყება ქართული კინოს ისტორია. მნიშვნელოვანია, რომ 1912 წლის მსოფლიო კინემატოგრაფში, სხვა ქვეყნების ფილმოგრაფიაში ვერსად ნახავთ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს, რომელიც საზოგადო მოღვაწის, მწერლის თუ პოეტის, კონკრეტული ინდივიდის შესახებაა გადაღებული. სამწუხაროდ, ფილმის პირველმა ვერსიამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“უფრო მეტია, ვიდრე დოკუმენტური სახის პრიმიტიული სიუჟეტი ან კინოქრონიკა, რომელიც 1910-იანი წლების მსოფლიო კინემატოგრაფში წამყვანი ტენდენცია იყო. ქართველი პოეტის იუბილე ქართველმა ხალხმა ნამდვილ საერთო დღესასწაულად აქცია. ამაშუკელმა თავის კინოსურათში რეალური ადამიანების მიერ გათამაშებული სიუჟეტები წარმოგვიდგინა, გულწრფელი და ნამდვილი ემოციებით, ეს არის ფილმი, რომელმაც კონკრეტული დრო შეინახა: საქართველოს მთიან მხარეში ხალხის ყოფა, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები.. სწორედ ამიტომ ფილმი არანაკლებ მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

„აკაკის მთელი მოგზაურობა გადავიღე და მთებში ბეჭით ვათრიე აპარატი. რეჟისორიც მე გახლდით, ოპერატორიც და მუშაც,”- ასე იხსენებს ფილმის ავტორი გადაღების მძიმე და დამღლელ პროცესს. ის ყველაფერს ასახავდა ფირზე, რაც კინოაპარატის წინ ხდებოდა.

ვასილ ამაშუკელი იხსენებს: ყველა სოფელში აკაკის საგანგებოდ მისთვის მომზადებული სახალხო სანახაობით და მორთული სუფრებით ხვდებოდნენ. თავად პოეტს და მწერალს ყველაზე მეტად სოფელ ბარაკონში გამართული ფერხული მოეწონა“, ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა ვასილ ამაშულეკს ასეთი სიტყვებით მიმართა „არ დაზოგო ცოდნა და მასალა, თუ ეს ფერხული სურათში ასე აღბეჭდილი, ძლიერ კარგი იქნებაო“. მიუხედავად ცუდ გზებზე ეტლით მგზავრობისა, ზეიმისგან აღელვებისა, 72 წლის აკაკის დაღლილობა არ ეტყობოდა. ფილმის საშუალებით სწორედ ასეთი შემორჩა იგი თაობებს.

1912 წლის 31 აგვისტოს “სახალხო გაზეთში” დაიწერა, რომ “ტფილისში ჩამოვიდა ვასილ ამაშუკელი, რომელმაც აკაკის მოგზაურობა სინემატოგრაფიულ ლენტზე გადაიღო“.

ფილმის ჩვენება 1912 წლის 21 სექტემბერს, ქუთაისში, კინოთეატრ რადიუმში გაიმართა, 15 დღის განმავლობაში დარბაზში ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, „რადიუმში“ დღეში ოთხი სეანსს უჩვენებდნენ. ქუთაისის შემდეგ „აკაკის მოგზაურობა რაჭა ლეჩხუმში“ საქართველოს სხვა ქალაქებშიც უჩვენეს. ფილმმა ვასილ ამაშუკელს დიდი აღიარება მოუტანა

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA